



სატენდერო დოკუმენტაცია

უძრავი ქონების (შენობის) დაზღვევის მომსახურების შესყიდვა

CPV – 66515200

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება – **7000,00** ლარი

ქ. თბილისი
6 დეკემბერი 2016 წელი

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
3. დანართი №1 – სატენდერო წინადადების ფორმა
4. დანართი №2 – ფასების ცხრილის ფორმა
5. დანართი №3 – ტექნიკური პირობების ფორმა
6. დანართი №4 აფიდავიტის ფორმა
7. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტი: უძრავი ქონების (შენობის) დაზღვევის მომსახურება შემდეგ მისამართზე არსებულ შენობაზე: მიცკევიჩის ქ. #19.
2. მიწოდებელმა უნდა უზრუნველყოს უძრავი ქონების (შენობის) სადაზღვევო მომსახურების გაწევა 2017 წლის 1 იანვრიდან (თუ ტენდერი ტექნიკური პირობების გამო გადავიდა 2017 წელში, მაშინ გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების დღიდან) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3. უზრავი ქონების (შენობის) დაზღვევა უნდა ფარავდეს შემდეგ რისკებს და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - ა) ხანძარი (მათ შორის მოკლე ჩართვით გამოწვეული);
 - ბ) აფეთქება, მეხის დაცემა;
 - გ) წყალდიდობა;
 - დ) თვითმფრინავის ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის ან მათი ნაწილების ჩამოვარდნა;
 - ე) უხთოვლიანობა;
 - ვ) მიწისძვრა;
 - ზ) შტორმი; ქარიშხალი;თ) წყალგაყვანილობის სისტემის მწყობრიდან უცარი და მოულოდნელი გამოსვლა;
 - ი) ქურდობა; ძარცვა; ყაჩაღობა ან მათი მცდელობა;
 - კ) ნიადაგის ჩამოშლა; მეწყერი;
 - ლ) მესამე მხარის მიერ განზრახ მიყენებული ზიანი, სატრანსპორტო, მათ შორის მცურავი საშუალებების შეჯახებით მიყენებული ზიანი;

შენიშვნა: ა) ფრანშიზა (აუნაზღაურებელი მინიმუმი) მინიმუმ 3000 ლარი;
ბ) ფრანშიზა (აუნაზღაურებელი მინიმუმი) სტიქიური უბედურებისას 5000 ლარი;

4. სადაზღვევო არეალი – საქართველო.
5. სადაზღვევო პოლისის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მისამართზე.
6. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გათვალისწინებით.
7. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაციები:
 - ა) სატენდერო წინადადება დანართი №1-ის შესაბამისად.
 - ბ) ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად.
 - გ) ტექნიკური პირობები დანართი №3-ის შესაბამისად.
 - დ) შესაბამისი სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის ასლი.

* პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადება და ფასების ცხრილი წარმოადგინოს

სრულყოფილად შევსებული დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 ფორმით:

* ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული.

შენიშვნა: „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-11 მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ წინასწარ, მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სატენდერო დოკუმენტაციაში, თუ რა სახის დოკუმენტაციით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა.

8. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

- ა) ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ან შესაბამის თანხაზე საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში წინასწარ.
- ბ) სატენდერო წინადადება ძალაშია მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ტენდერისათვის „ხელშეკრულება დადებულია“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსის (ერთ-ერთი) მინიჭებამდე.

9. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე.

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა მოცემულია დანართ N4-ში. დანართი N4-ით გათვალისწინებული აფიდავიტის ფორმა დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

10. პრეტენდენტს უფლება არ აქვს, წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

11. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 120 კალენდარულ დღეს ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსის მინიჭებიდან.

12. ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია გამოყენებული არ იქნება.

13. დაფინანსების წყარო – 2017 წლის საკუთარი შემოსავლები.

14. პრეტენდენტს უფლება აქვს შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით მიიღოს დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შემდეგი საკონტაქტო პირისგან: მ.კუპრაძე, ტელ: 574058555; ელ. ფოსტა: kupradze@gnerc.org; ს. ღვინიაშვილი ტელ: 577 920 132; ელ. ფოსტა: sophio.gviniashvili@gnerc.org

შენიშვნა:

1. სახელმწიფო შეყიდვების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო მოცემულია საიტზე: www.procurement.gov.ge
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილისი №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოცემულია საიტზე www.procurement.gov.ge

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად. პირმა, რომელიც გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგების მიხედვით გამოცხადდება გამარჯვებულად, სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

1. იურიდიულმა პირმა, ამხანაგობამ ან ინდივიდუალურმა მეწარმემ:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ბ) ცნობა საქართველოს ეროვნული ბანკიდან, რომ პრეტენდენტ საწარმოში დანიშნული არ არის იძულებითი ადმინისტრაცია ან/და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

შენიშვნა:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან მოთხოვნილია მეწარმე სუბიექტისთვის რეგისტრაციის დადასტურებისა და მის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის იდენტიფიკაციისათვის, კონტრაგენტის სახელით ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი პირის განსაზღვრის მიზნით.
- ბ) საქართველოს ეროვნული ბანკიდან ცნობა, რომ პრეტენდენტ საწარმოში დანიშნული არ არის იძულებითი ადმინისტრაცია ან/და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება, მოთხოვნილია მეწარმე სუბიექტისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის (დირექტორის, პრეზიდენტის, მეწარმის, თავმჯდომარის ან სხვა) საქმიანობის განხორციელებისას, მისი უფლებაუნარიანობის შეზღუდვის არსებობა/არარსებობის დადგენის მიზნით.

სატენდერო კომისია თვლის, რომ სამეწარმეო სუბიექტი, რომელშიც „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33¹ მუხლის საფუძველზე დანიშნულია იძულებითი ადმინისტრაცია ან/და მის მიმართ ამავე კანონის 33⁴ მუხლის შესაბამისად დაწყებულია გაკოტრების საქმის წარმოება, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

2. ფიზიკურმა პირმა:

- ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- ბ) გადასახადის გადამხდელის მოწმობის ასლი.

შენიშვნა:

- ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი მოთხოვნილია პრეტენდენტი ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის მიზნით.

ბ) ფიზიკური პირის გადასახადის გადამხდელის მოწმობა მოთხოვნილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დანართი № 1

სატენდერო წინადადება

1. პრეტენდენტის რეკვიზიტები:

- იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- იურიდიული მისამართი:
- ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- ტელეფონის/ფაქსის ნომერი:
- ელექტრონული ფოსტის მისამართი:
- მომსახურე ბანკის დასახელება და კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში:

2. ანგარიშსწორება განხორციელდეს შემდეგი ფორმით: _____

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს“ და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი წესების და ნორმების ფარგლებში.

მიმწოდებლის სახელით
(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,
თანამდებობა და ხელმოწერა/ბეჭედი)

ფასების ცხრილი

№	დასაზღვევი ქონება	უძრავი ქონების საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენობის ფართობი	სადაზღვევო მომსახურების ფასი ერთ თვეზე (ლარი)	რაოდენობა (თვე)	საერთო ფასი (ლარი)
1	ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა	2927813,56	2866მ ²		12	

ჯამი:

მიმწოდებლის სახელით
(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,
თანამდებობა და ხელმოწერა/ბეჭედი)

ტექნიკური პირობები

უძრავი ქონების (შენობის) დაზღვევა ფარავს შემდეგ რისკებს და მოცავს შემდეგ პირობებს:

მიმწოდებლის სახელით
(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი,
თანამდებობა და ხელმოწერა/ბეჭედი)

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმუღავნებია ან/და არ გაუმუღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავცვანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება N _____

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ.თბილისი

20__ წელი.

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ზაალ ჩომახიძის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.4. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.5. „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს უძრავი ქონების (შენობის) დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, (შემდგომში „მომსახურება“) ტექნიკური დავალების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
- 3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კომისიის შესყიდვების, ქონების მართვისა და

ლოჯისტიკის დეპარტამენტი.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებელმა გაწეულ მომსახურებაზე უნდა გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

4.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 მომსახურების ერთეულის ფასი განსაზღვრულია დანართი №1-ით (ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით).

5.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს დღგ-ს ჩათვლით („ხელშეკრულების ღირებულება“).

5.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5.4. ხელშეკრულების ღირებულების (ან მისი ნაწილის) გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში.

5.5. ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტების (ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნაღები) შემსყიდველისათვის მიწოდების თარიღიდან (იმისდამიხედვით, რომელი უფრო გვიან მოხდება).

5.6 შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარ.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები.

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

6.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვადლებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ოდენობით.

7.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ

წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

12.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა, ორგანიზაციის რეკვიზიტები)
ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან:

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა, ორგანიზაციის რეკვიზიტები)
ბ.ა.